სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/50

ქ. თბილისი

30 სექტემბერი 2022

სსიპ -საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქონების სს „ლეგიას“ ქონებაში გაცვლის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 521-ე-523-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 45-ე მუხლის შესაბამისად, სს „ლეგიას“ დირექტორის, ზურაბ ხოჯაშვილის 2022 წლის 30 სექტემბრის წერილის (1195628), ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 01 სექტემბრის №5005968422 და 2022 წლის 09 სექტემბრის №5006172022 დასკვნების, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, ბექა მაისურაძის სამსახურებრივი ბარათის, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-04/126 დადგენილების, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა თბილისში, მერაბ კოსტავას №71-ში, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მე-7 სასწავლო კორპუსის შენობის პირველ სართულზე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 984,41კვმ ფართიდან 854,31 კვმ ფართის (ს/კ01.10.13.040.003.01.01.517) თბილისში, მერაბ კოსტავას №77-ში, სს „ლეგიას“

საკუთრებაში არსებული 65,01 კვმ ფართობში (ს/კ 01.10.13.023.181) გაცვლის თაობაზე შემდეგი პირობებით:

ა) ქონების გაცვლა განხორციელდეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნების (2022 წლის 01 სექტემბრის №5005968422, 2022 წლის 09 სექტემბრის №5006172022) შესაბამისად დადგენილი უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულების - 683 449 აშშ დოლარის ოდენობასა და სს „ლეგიას" საკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულების - 240 277 აშშ დოლარის ოდენობას შორის სხვაობის - 443 172 აშშ დოლარის სს „ლეგიას" მიერ ქონების გაცვლის თაობაზე გარიგების დადებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ;

ბ) ქონების გაცვლის თაობაზე გარიგების დადებიდან არაუგვიანეს 6 თვისა, სს „ლეგია" უზრუნველყოფს ფართზე არსებული იჯარის ხელშეკრულების გაუქმებას და გადასაცემი ფართობის გამოთავისუფლებას;

გ) უნივერსიტეტი ქონების გაცვლის თაობაზე გარიგების დადებამდე უზრუნველყოფს თავის საკუთრებაში არსებულ ფართობთან დაკავშირებით სს „ლეგიას" 2022 წლის 30 სექტემბრის წერილით წარმოდგენილი შემდეგი პირობების შესრულებას:

გ.ა) დააზუსტებს ელექტროენერგიის მიწოდების ქვესადგურსა და არსებულ სიმძლავრეს (მინიმუმ 200 კილოვატ საათამდე);

გ.ბ) დააზუსტებს კომუნიკაციების (წყალი, გაზი, კანალიზაცია) წერტილებსა და მათ სიმძლავრეებს;

გ.გ) მოახდენს გადასაცემი ფართის ნახაზის შედგენას და აღწერას.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**